

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება როგორც
ვალდებულების შესრულებისა და სახელშეკრულებო სამართლიანობის
დაცვის მექანიზმი



ნინო თიმთერია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლაში კერძო/ბიზნეს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს სამართალი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია სულხანიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

„როგორც წარდგენილი დისერტაციის ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გაოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.¹”

¹ ს.ჯანაშია და სხვები, თამარ, რედ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელო წიგნის, სტატიის, დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისათვის (თბილისი: 2011 წელი), 56. <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/iliassakhelmtsipho-universitetis-akademiuri-stilis-sakhelmdzghvanelo.pdf> (02.07.2021)

აბსტრაქტი

ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის განმსაზღვრელია. ის ქცეულია თითოეული ადამიანის განუყოფელ ნაწილად და ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელ ელემენტად. სწორედ სახელშეკრულებო თავისუფლება და თანასწორობაა, სახელშეკრულებო სამართლიანობის საფუძველი, თუმცა რიგ შემთხვევებში ხდება ისე, რომ ვითარების შეცვლა ართულებს და უსამართლოდ აქცევს გარიგების შედეგს. სახელშეკრულებო ურთიერთობის დროს მხარეთა მიერ წინასწარ განსაზღვრული გარემოებები, მათი ნებისგან დამოუკიდებლად შეიძლება ისე შეიცვალოს რომ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ვალდებულების მბოჭავ ხასიათზე.

ვალდებულებითი სამართლის რეგულირების სფერო კი, სამართლებრივ ურთიერთობებთან ერთად, გარემოების უკონტროლო და მოულოდნელი შეცვლით გამოწვეული შედეგიცაა, მის მოსაწესრიგებლად კი, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტს, რომელსაც მხარეთა ნებას უქვემდებარებს.

აღნიშნული ინსტიტუტის თანახმად, ხელშეკრულების მხარეებმა, უნდა იზრუნონ, მოარგონ ის შეცვლილ გარემოებებს და გადაარჩინონ ურთიერთობა, კეთილსინდისიერების, გულისხმიერებისა და თანასწორობის საფუძველზე. სწორედ, რომ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მთავარ არსს მხარეთა შორის ინტერესთა ბალანსის შენარჩუნება წარმოადგენს, რაც სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის შენარჩუნებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მოწესრიგდეს შეცვლილი გარემოებებით გამოწვეული კონცეფცია,თუმცა განსაზღვრავს მნიშვნელოვანი ხარვეზებით, რის გამოც მისი როლი სასამართლო პრაქტიკაში არაეფექტურია.

აღნიშნული საკანონმდებლო ჩანაწერის შინაარსის ბუნდოვანება და შესაბამისი სამართლებრივი შედეგის მიღწევისთვის საჭირო მექანიზმების არ არსებობა ქმნის საჭიროებას, რომ ნახსენები ინსტიტუტი იქნეს გამოკვლეული. ნაშრომის ფარგლებში განხილული იქნება თუ რა გავლენა აქვს შეცვლილ გარემოებებს სახელშეკრულებო ურთიერთობებზე და რა პრობლემები არსებობს საკითხის მოწესრიგების თვალსაზრისით. ასევე, ნაშრომის მიზანს საკანონმდებლო ხარვეზის წარმოჩენასთან ერთად, მათ აღმოსაფხვრელად რეკომენდაციების გაწევა წარმოადგენს.

საძიებო სიტყვები: ხელშეკრულება, შეცვლილი გარემოება,მისადაგება,სახელშეკრულებო ურთიერთობა

სარჩევი

შესავალი.....	- 9 -
ვალდებულებითი სისტემა (ზოგადი მიმოხილვა).....	- 12 -
1.1 ვალდებულების არსი.....	- 12 -
1.2 ხელშეწყობა როგორც ვალდებულების წარმოშობის საფუძველი.....	- 16 -
2.1 შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეწყობის მისადაგება (ზოგადი ინსტიტუტი) ..	- 18 -
2.2 შეცვლილ გარემოებების არსებით ცვლელის წინაპირობები.....	- 19 -
2.2.1 გარემოების საფუძველი.....	- 19 -
2.2.2 აშკარა ცვლილება.....	- 21 -
2.2.3 გარემოების ცვლელის ხელშეწყობის დადების შემდეგ.....	- 22 -
2.2.4 მოწინააღმდეგე/გადსინჯვა	- 22 -
3. ხელშეწყობიდან გასვლა/ხელშეწყობაზე უარი გარემოებების არსებით ცვლილებისას	- 24 -
3.1 შეცვლილ გარემოებებისადმი ხელშეწყობის მისადაგების შეუძლებლობა, როგორც ხელშეწყობიდან გასვლის წინაპირობა	- 28 -
3.2 ხელშეწყობის პირობის „ ძვ აცრადრდაცვის“ შესაძლებლობა	- 30 -
IV თავი.....	- 31 -
შესრულების გართულებისა და შესრულების შეუძლებლობის ურთიერთმიმართება.....	- 31 -
თავი V	- 34 -
გარემოებების არსებით ცვლილება და ფორს-მაჟორი	- 34 -
თავი VI.....	- 36 -
სასამართლოს მიერ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეწყობის მისადაგება და დამკვიდრებული პრაქტიკა.....	- 36 -
თავი VII	- 41 -
შეცვლილი გარემოებების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი	- 41 -
1.1 შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეწყობის მისადაგება გერმანულ სამართალში.....	- 42 -
1.2 შეცვლილი გარემოებების რეგულირება უნიდრუასა და ევროპის სახელშეწყობის პრინციპებით.....	- 46 -
VII თავი	- 50 -
პანდემიის ეფექტი სახელშეწყობის ურთიერთობებზე.....	- 50 -
კვლევის შედეგები.....	- 53 -
დასკვნა.....	- 54 -

Abstract

Freedom of contract is a determinant of the security of civil circulation. It has become an inseparable part of every person and a constituent element of everyday life, Contractual freedom and equality are the basis of contractual justice, However, sometimes the situation changes and the result is not achieved. Predetermined circumstances change And commitment becomes difficult At the same time, the law regulates the changed circumstances.

The parties to the contract should take care to adapt it to the changed environment and save the relationship, Protection of the balance of interests between the parties to the main essence of the changed circumstances agreement, which significantly contributes to maintaining the stability of civil circulation.

The Civil Code of Georgia determines how to adjust the concept caused by the changed circumstances

However, it is defined with significant flaws, due to which its role in judicial practice is ineffective.

The ambiguity of the content of the said legislative record creates the need for the issue to be studied which will be analyzed in the paper and recommendations will be presented.